

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ
კლდეისში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ
ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული
გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციების შედგენის შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის;
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. ტექნიკური დავალება;
4. დანართი N1, რეკვიზიტები;
5. დანართი N2, ინფორმაცია, საწარმოს მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ;
6. დანართი N3, ფასების ცხრილი;
7. დამატებითი ინფორმაცია;
8. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

ინფორმაცია
ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესაბამისად. (<http://procurement.gov.ge/>)

პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს გზის ან/და ხიდის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საწარმოს მიერ გზის ან/და ხიდის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ დანართი N2-ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული საწარმოს ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში). დანართში მითითებული ხელშეკრულებები და მათი შესრულების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

2. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს: რეკვიზიტები, დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული საწარმოს ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

3. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N3-ის შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული საწარმოს ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დანართები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

5. ფასის ცვლილების შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ ელექტრონულ სისტემაში საბოლოოდ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი ცხრილი დანართი N3-ის შესაბამისად. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

6. იმის გათვალისწინებით, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მომსახურება ხორციელდება ძირითადად ინტელექტუალური შრომის გამოყენებით, ამიტომ სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის 20% -ით ან მეტი ოდენობით კლების შემთხვევაში, პრეტენდენტს არ მოეთხოვება შესყიდვის ობიექტის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება.

7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან მისი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ, რომლითაც დადგინდება არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ხელშეკრულების გაფორმებისას, რადგან ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნეს დღგ-ს ოდენობა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

7.1. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი გაცემულ უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ; ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტები ზემოხსენებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

7.2. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარმოდგენილი უნდა იქნეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო კომისია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტების „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

8. ტექნიკური და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული (ნოტარიულად დამტკიცებული) თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს სატენდერო კომისია.

ტექნიკური დავალება

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეისის, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა:

1. გზის მოშანდაკება-მოხრეშვა
2. სანიაღვრე არხების მოწყობა
3. ბეტონის შემაკავებელი ზოლების მოწყობა საჭიროებისამებრ
4. წყალგადამშვები მილების მოწყობა
5. ცხაურების მოწყობა
6. წყალმიმღების მოწყობა

დამატებითი მოთხოვნები:

- სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებები გაანგარიშებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.
- ხარჯთაღრიცხვების კონკრეტულ პუნქტებში ზუსტად უნდა იქნას აღწერილი გამოსაყენებელი მასალის განზომილებები (გამოსაყენებელი მასალის ზომა და ხარისხის აღმნიშვნელი სხვა აუცილებელი მახასიათებლები).
- სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით.
- მიმწოდებელმა შემსყიდველთან ერთად ობიექტებზე გასვლით და ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ტექნიკური დავალების საფუძველზე უზრუნველყოს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება.
- სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში, მათი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინება განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.

დაფინანსების წყარო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 07 ივლისის N1340 განკარგულება).

2. თითოეული ობიექტის მიხედვით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) განმარტებით ბარათს;
- ბ) მოცულობათა უწყისს (დამოწმებულს შემსყიდველისა და საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა მიერ);
- გ) კრებსით და ლოკალურ რესურსულ ხარჯთაღრიცხვებს (შემსყიდველთან შეთანხმებით);
- დ) შესაბამის ტექნიკურ ნახაზებსა და სპეციფიკაციებს;
- ე) შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკს.

3.საავტორო ზედამხედველობა

3.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტების განხორციელების/ მშენებლობის პროცესში. (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციების გაწევა (საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტებზე მისვლა მიმართვიდან მაქსიმუმ 3 კალენდარულ დღეში), საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციების კორექტირება (საჭიროების წარმოქმნიდან/ოფიციალური მიმართვიდან მაქსიმუმ 5 კალენდარულ დღეში).

4.საავტორო ზედამხედველობის ვადა

4.1 ტექნიკურ დავალებაში გაწერილი ობიექტის განხორციელების მთელი პერიოდი.

5.მომსახურების გაწევის ვადები

5.1 გამარჯვებულმა ორგანიზაციამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 კალენდარული დღის ვადაში.**

6.ანგარიშსწორების პირობები:

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 უნადლო ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ნორმები და სტანდარტები

7.1 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

8. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა

8.1 გამარჯვებულ ორგანიზაციას ტექნიკური დავალების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დროში მოეთხოვება პროექტის (თითოეული ობიექტის მიხედვით სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის) ხუთ-ხუთი ეგზემპლარის წარმოდგენა, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით CD დისკზე (Word, Excel, PDF ფაილებით).

9. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს კონკრეტულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში "ხელშეკრულება დადებულია", "დასრულებულია უარყოფითი შედეგით" და "ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსებიდან ერთ-ერთის მინიჭებამდე.

10. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური დავალების 1-9 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

1.რეკვიზიტები

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელიდა გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
ელექტრონული მისამართი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
მომსახურე ბანკის დასახელება:
ანგარიშსწორების ანგარიშის №:
მომსახურე ბანკის კოდი:

საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერა -----ბ.ა.

ინფორმაცია

საწარმოს მიერ გზის ან/და ხიდის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ

| N | შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | გაწეული მომსახურების (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) დასახელება | ხელშეკრულების გაფორმების თარიღი (წელი) | ხელშეკრულების ღირებულება | მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი | შენიშვნა |
|---|-------------------------------------|---|--|--------------------------|--|----------|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

შენიშვნა: დანართში მითითებული უნდა იქნას მხოლოდ ის ხელშეკრულებები რომლებიც შესრულებულია და გაფორმებულია მათი შესრულების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები. მითითებული ხელშეკრულებები და შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

პრეტენდენტი ორგანიზაცია

----- ბ.ა.
ხელმოწერა

| № | დასახელება | მომსახურების ღირებულება დღ-ს გარეშე (ლარი) |
|---|--|--|
| 1 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეისში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა. | |

პრეტენდენტი ორგანიზაცია

----- ბ.ა.
ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის „კითხვა-პასუხი“-ს მოდულის მეშვეობით ან/და მუნიციპალიტეტის გამგეობაში: ინფრასტრუქტურის განვითარების, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სიმონ გულედანი ტელ: (577 95 50 77); და შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი - ლიკა გვრიტიშვილი ტელ: (598 25 96 95).

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ან დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქ. თეთრიწყარო

----- 2016 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის პირველი მოადგილის ერეკლე კუხიანიძის სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA-----) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

- 1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.
- 1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. "მიმწოდებელი"-პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. "ტექნიკური დავალება" - NSPA-----გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეისში, სოფელ ახალსოფელში და სოფელ ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის შესყიდვა /71320000-CPV/.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 3.3. დაფინანსების წყარო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ----- (დაინიშნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამსახურის წარდგენის საფუძველზე).

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს -----

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს 6.1 პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.1.1. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

9.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში - კი სახელშეკრულებო ღირებულების 20% ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

- 10.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
- 10.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
- 10.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
- 10.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს - მაჟორი

- 11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
- 11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
- 11.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის ----- დან 2016 წლის ----- მდე.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი;

მიმწოდებელი;